1. **პროგრამის სახელწოდება:** უკრაინისმცოდნეობა

2. **პროგრამის ხელმძღვანელები**: სრული პროფესორი ოთარ ბაქანიძე, პროფესორი პეტრო კონონენკო

3. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი (უკრაინისმცოდნე) MA in Philology (Ukrainian Studies).

4. **სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**
   - ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარული მეცნიერების რომელიმე დარგში, ან ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი.
   - სამაგისტრო პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

5. **სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

მიზანი - მაგისტრანტმა უნდა მიიღოს საფუძვლიანი ცოდნა უკრაინელი ხალხის ისტორიული და თანამედროვე ცხოვრების შესახებ. კომპლექსურად უნდა შეისწავლოს უკრაინისმცოდნეობის უმთავრესი პრობლემები და გაერკვეს მათ ურთიერთკავშირში. ესენია: უკრაინის ისტორია, უკრაინული ენა, ლიტერატურა და კულტურა. მაგისტრანტი უნდა აღიჭურვოს ცოდნით, რომელიც საშუალებას მისცემს მას ნათლად წარმოიდგინოს უკრაინის ადგილი და როლი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. გაიაზროს მისი კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათი, განივითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს კვლევის ჩვევები, თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით შეძლოს პრაქტიკული, მეცნიერული, პედაგოგიური საქმიანობა. ამასთანავე, მთარგმნელის ფუნქციის შესრულება.

პროგრამის შედეგი:

- პროგრამის დასრულების შემდეგ ღრმად და საფუძვლიანად ეცოდინება უკრაინული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის საკვანძო საკითხები; სრულყოფილად ექნება შესწავლილი უკრაინული და სხვაენოვანი ლიტერატურული ურთიერთობები და შეეძლება მათი დამოუკიდებელი მეცნიერული ანალიზი; ამას გარდა, შეეძლება თარგმნა და ლიტერატურული პროცესის ცალკეული პრობლემისა და ლიტერატურული კონტაქტების ნებისმიერი გამოვლენის კვალიფიციური, მეცნიერული შეფასება; შეეძლება სამეცნიერო კვლევების ინტერდისციპლინარულ ჭრილში წარმოება.
- მიღებული კვალიფიკაცია და მეცნიერული კომპეტენცია მაგისტრს შესაძლებლობას მისცემს განახორციელოს ორიგინალური მეცნიერული იდეები

უკრაინისმცოდნეობაში. უკრაინისმხცოდნეობის თეორიული პროვლემების სიღრმისეული ცოდნა მას დახმარებას გაუწევს საკვლევ მასალაში გამოარჩიოს პრიორიტეტული, ლოგიკურად დაასაბუთოს მისი კვლევის საჭიროება, საკითხის მისეული გადაწყვეტისთვის მოიხმოს შესაბამისი მეცნიერული არგუმენტები და შექმნას ორიგინალური მაღალკვალიფიციური მეცნიერული გამოკვლევა.

- პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს შეეძლება მაღალკვალიფიციური წერითი და ზეპირი პრეზენტაცია, თავისი პოზიციის დაცვა ნებისმიერი აუდიტორიის წინაშე, პედაგოგიური საქმიანობა და ექსპერტობა უკრაინისტიკის მიმართულებით.

დასაქმების სფეროები - სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს, როგორც მკვლევარსა და მთარგმნელს მუშაობა შეეძლება:

- ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში;
- უკრაინაში საქართველოს საელჩოში და საქართველოში უკრაინის საელჩოში;
- თბილისში არსებულ უკრაინულ საჯარო სკოლაში;
- არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ექსპერტად;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში;
- რადიოსა და ტელევიზიაში რედაქტორად და კონსულტანტად.

სწავლის გაგრძელების საშუალება - მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში ამავე სპეციალობით ან მომიჯნავე სპეციალობებზე.